სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

29 თებერვალი, 2024 წ.

ბრძანება № 01-02/28

„ბსუ-ში 2024-2025 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 12 თებერვლის N01-02/15 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის თამარ მაჭუტაძის 2023 წლის 28 თებერვლის N232268 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. „ბსუ-ში 2024-2025 წლებში განსახორციელებელი მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 12 თებერვლის N01-02/15 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, **ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს **2024 წლის 27 თებერვლის 10:00 სთ-დან 05 მარტის 16:00 სთ-ის ჩათვლით, თავდაპირველად ელექტრონული სახით** (მისამართზე bsugrant@bsu.edu.ge) და მხოლოდ აღნიშნული ქმედების განხორციელების შემდეგ, ასევე **მატერიალური სახით** (ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურში (კანცელარიაში))."

2. სამეცნიერო კვლევების სამსახურმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების შესაბამისად ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებული კონკურსის შესახებ განცხადების რედაქტირებული ვერსიის მომზადება და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისთვის წარდგენა.

3. წინამდებარე ბრძანების შესახებ ეცნობოს ბსუ-ს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს ფაკულტეტების და ინსტიტუტების ადმინისტრაციების მიერ და ასევე გავრცელდეს ინფორმაცია ბსუ-ს პორტალის მეშვეობით (დაეგზავნოს სმს შეტყობინებები).

4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს: საქმისწარმოების (კანცელარია) სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**